

ჩვენ

2
ქართული
ბიზლირთეკა

გამოცემის 53-ე წელი, (№ 1468). იანვარი. 1976. ფასი 20 კაპიკი.



— ნებე-დედოფალი სადან?
— ეს კელეხია, ბატონო, კელეხი!..

ოცდაექვსეუთი ყრილობას ვხვდებით!


საქმედქვეული სიტყვით, პირობით და სიახლეთა მომტანი ძვრებით — ვხვდებით პარტიის მორიგ ყრილობას! —

ოცდამეხუთე ყრილობას ვხვდებით! გმირული შრომის გენია გვშვენის, ცას ვარსკვლავების სიმრავლით გჯობნით! —

დამხვევებლებო დოვლათის ჩვენის, ოქრომჭედლებო ქალაქის, სოფლის!.. შრომით მწვერვალებს ვიპყრობთ, უმაღლესს! წლებს, ჯერ მოუსვლელს, ვიტოვებთ უკან და საამაყო ნიშნებს ვუმატებთ განახლებული სამშობლოს რუკას! თავს დასტრიალებს ჩვენი ოცნება ქვეყნის მოვლას და აღორძინებას, ახლის ძიებას და აღმოჩენას, აღმოჩენას და ისევ ძიებას! ვიყავით სადაც, ვიბრძოდით სადაც, სადაც გრგვინავდა გმირობა ჩვენი, — მარად და ყველგან პარტიის გეწამდა! მარად და ყველგან უუსმენდით ლენინს! ვიყავით სადაც, ვშრომობდით სადაც, — ყამირ მიწებზე, მთებში, მეტროში, — მარად და ყველგან პარტიის გეწამდა, პარტიის — ჩვენი ბრძენი მედროშის! მისი სახელით ავმალდით ცადა, კოსმოსსაც მისი სახელით მივწვდით!..

ვიბრძოდით სადაც, ვიშრომებთ სადაც, — ყველა სიმაღლეს დავიპყრობთ მისით! ჩვენ არასოდეს არა ვჭამთ სირცხვილს! მზით ვაწვივებთ უდიდეს მიზანს! — ეს არის ფიცი, ეს არის ფიცი! სიცოცხლე ჩვენი ქვეყნისა ფიცად! აზრი მაშინ აქვს არსებას კაცის, როდესაც იგი კაფავს ახალ გზას! არარა არის სიცოცხლის ფასი, თუ მას შრომაში არ ვწვავთ, არ ვხარჯავთ. ვდგავართ იქ, სადაც ქარიშხალია! ვძლევთ დაბრკოლებებს! ტკივილებს ვუძლებთ!..

შავზე ხმამაღლა ვამბობთ: „შავია!“ ვემსახურებით სახალხო ხუთწლედს!.. და „ქმნა მართლისა სამართლის“ ახლა, საქართველოში, მძლავრობს და ფასობს და ჩვენი ხალხი მწვერვალზე აჭყავს შრომას — ცხოვრების მიზანს და საზომს! შრომა ხსნადა და იმედად ვცანით, სანთლად ავუნთეთ გულების ფესვებს! ზოგჯერ იქ, სადაც ბრმა არის თვალი, ამ ანთებული გულებით ვეძებთ!.. ხალხს უკვდავების მოაფენს ნათელს ჩვენი გონება, ჩვენი მარჯვენა! უფრო მედგარი შეტევა გემართებს, მეტი მიღწევა და გამარჯვება! მინდა, გულწრფელად და უმართლესად გითხრათ სათქმელი, არსებით მთელით: დელეგატებო, ყრილობას თქვენსას, — უმხურვალესი სალამი ჩემი!



— ხარისხის ხუთწლედის იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველა სამეცნიერო ხარისხს დაიცვას!

იმ ქარიშხლიან დღეთა მოსაბოროტლად

ნოდარ დუმბაძის მოტივებზე

მასწოვს მრისხანე 1962 წლის შემოდგომა: სოფელი თითქმის დაცარიელებულიყო... შავებით მოსილი დედაკაცების, მოხუცებისა და ბავშვების მეტს ვერავის მოკვრავდით თვალს... მოჭქონდა და მოჭქონდა ფოსტალიონს სამკუთხა ბარათები, რომლებსაც წვილ-კივილი და გლოვა მოჭყვებოდა თან...

ტიროდნენ დედები, ქვითინებდნენ დაქვრივებული ახალგაზრდა ქალები... გულისფანცქალით გაპყურებდნენ შინმოუსვლელთა გზას ქალიშვილები (ყველაზე მეტად მათ არ სჯეროდათ სიკვდილისა!) ნახევრად მშიერ-მწყურვალნი დარბოდნენ ტიტლიკანა ბალები... უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა პატოსანი მშრომელი ხალხი...

კვირა დღე იყო საბჭოს ეზოში მთელ სოფელს მოეყარა თავი. დედაკაცებს, თითქოსდა, დაერღვიათ თავიანთი უმკაცრესი კანონი და ჯგუფ-ჯგუფად, თავჩაქინდრულნი, უსიტყვოდ იდგნენ. ბავშვები, მესრის გასწვრივ ჩამწკრივებულ ალვის ხეებზე, ბეჭტობდით მობუზულიყვანს. მალე საბჭოს შენობის აივანზე სოფლის თავკაცები გამოჩნდნენ. ყველამ მათგან ქნა პირი. ზოგმა ისევ დამნაშავესავით დახარა თავი და პირვანდელი მდგომარეობა მიიღო. საბჭოს თავმჯდომარე ერთი ნაბიჯით წინ წარსდგა. თითებით დაეყრდნო აივნის მოაჯირს, ხმა ჩაიწმინდა, მალა აიხედა და დაიწყო:

„ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი სოფლის მშრომელებო! ყველამ ვიცით, თუ რა განსაცდელის წინაშე ვიმყოფებით: მესამე

დღეა, რაც ჩვენთან სულ ახლოს, სოფელ კაჭონაში, საშინელი ქორწილის ქარ-ცეცხლი მძინვარებს!.. მესამე დღეა, რაც თავს არ ზოგავენ ჩვენი სახელოვანი ლომები! ბევრი გმირულად დაეცა სუფრის ველზე! ბევრი უკვალოდ გაჭქრა უთანასწორო, ხელჩართულ ბრძოლაში!..

ამჟამად სუფრის ჩრდილო-დასავლეთი მხარე ნახევრად ალყაშია მოქცეული!.. მტერი ყოველნაირად ცდილობს, გამარჯვება მოიპოვოს!.. ვისაც ხელში ჩაიგდებენ, ცოცხლად ასხამენ ხახაში ღვინოს!.. ბევრს ყელში ამოდის საწამლაჟი სითხე, მაგრამ არნახულ სასწაულებს სჩადიან და თავს იკავებენ!..

ძვირფასო ამხანაგებო! ძვირფასო თანასოფლელებო! ამ მძიმე განსაცდელის ჟამს დახმარება სჭირდებათ ჩვენს სახელოვან გაჟაკებს! დაუყოვნებლივ უნდა გავეუზავნოთ მათ გრილი ტანსაცმელი, სახაშე მასალა, მინერალური წყლები და მედიკამენტები!..

იმედია, ამ საბედისწერო ჟამს უკან არ დავიხვევთ, არ დავიშურებთ ძალას და დახმარებას გავუწევთ ჩვენს მებრძოლ რაინდებს!

დიდხანს გაგრძელდა მიტინგი. სოფლის მშრომელები ერთმანეთს არ აცლიდნენ სიტყვას. ისინი წყველ-კრულვას უთვლიდნენ თამადასა და ქორწილის გამჩაღებლებს.

ბებია მთელი ღამე წინდას ქსოვდა.

ნომადი ბართია

სტაფანია გროქანსა

მალინოვსკები დიდხანს თათბირობდნენ ჯიხურის წინ, სადაც ხედებიანი ღია ბარათები იყიდებოდა.

— მოდი, ეს აბლვრიალებული ნაძვის ხით დამშვენებული ღია ბარათი გავუგზავნოთ, ძალზე ეფექტურია!

— არა, არა, ახლა ყველა საახალწლოატრიბუტებიან მისალოც ბარათებს გზავნის, ჩვენ უფრო ორიგინალური რამ შევარჩიოთ!

— მაშინ, აი, ეს მწვანე ნარგავებჩარიგებული რკინიგზის შტო ავიღოთ!

— საიდან სადაო?! ისინი ძველი თავგამოდებული ტურისტები არიან, ვასულ წელს კარავმოკიდებულებმა ფეხით იმოგზაურეს ქვეყნის დასალიერამდე. შენ კი რკინიგზას სთავაზობ. მთები უნდა გავუგზავნოთ, მკაცრი და ზვიადი ბუნება. აბა, შეხედე, იქნებ ეს გამოდგეს!

— მაგაში მოსაწონი განა რა არის? მთლად გაშიშვლებული კლდეებია! თავპირი ჩამოსტირით. ყველა ერთფეროვანია. ასეთი ღია ბარათები, ალბათ, უკვე თავსაყრელად დაუგროვდათ.

— მაშ, იქნებ, ეს ცისფერტიანი სჯობდეს ქალიან ლამაზია.

— მართლაც მომხიბლავია.

— აი, ეგ ღია ბარათი მოგვეცი, გეთაყვა! გმადლობთ! ეჭვი ცალი კიდე გაყვითლებულია. არა გაქვთ სხვა ასეთივე ხედიანი ღია ბარათი?

— არა, ეს უკანასკნელია.

— აფსუს!

— იცი, რა? გამოვართვათ ეს შეყვითლებული, ისინი იფიქრებენ, ფოსტაში გაჭუჭყიანებულაო.

— არა, ეგრე არ გამოვა. თუკი შეათვალიერებ, ემჩნევა, რომ ეს სიყვითლე ვიტრინაში დიდი ხნის დებით არის გამოწვეული. კარასინსკი იმწამსვე იტყვის: ჩანს, გაკოტრებულან, გამოყვითლებული ღია ბარათი გამოგვიგზავნეს. ახლის შესაძენად ფული არ ეყვით.

— კარგი. აგერ, ის ტურისტისსახლიანი ღია ბარათი ავიღოთ!

— მგონი, რაღაც აცხია.

— მაშინ ფერადი გამოვართვათ!


— კეთილი! თუ შეიძლება, ფერადი ღია ბარათი გვიჩვენეთ! არა, ეს კი არა, აგერ ის! ეეჰ! აქ რაღაც ცხვრებია, რაში სჭირდებათ ცხვრები!

— სჯობს, ისევე მთები ავიღოთ. მთები მთებია, რა შეიძლება, რომ მათში განსაკუთრებული რამ იყოს?

— კარგი, კარგი! მოგვეცი, გეთაყვა, აგერ ის თოვლიანი!..

— თოვლიანი? ეს საშინლად ტრაფარეტულია. კვერდით რომ უღდეს, ის ჯობს.

— გვიბრძანეთ ერთი, თუ შეიძლება ეს



რომელი მთაა? ის ხომ არ არის, აქ რომ გვაქვს, ზაკობანეში?

— ნეტავი შენთვის მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— სწორედ რომ აქვს, იქნებ, ეს მთა საღვთო სილუზიაშია, ჩვენ კი მასზე დავაწერთ: „სალამი ზაკობანედან! ისინი დაასკენიან, რომ ჩემათ რომელიღაც შინაგდები ღია ბარათი გავუგზავნეთ.“

— ის მთა ავიღოთ, რომელზეც „გვეონტი“ აწერია.

— ეგეც მართალია. უკიდურეს შემთხვევაში თვითონ ხომ გვეცოდინება, რაც არის. მოგვეცით გეთაყვა, გვეონტი და ორმოციანი მარკა! გმადლობთ!

— კალმისტარი გაქვს? ახლავე დავაწერთ!

— როგორ დავაწერთ?

— ჩვეულებრივად: „გულითად სალამს გითვლით და ახალ წელს გილოცავთ ზაკობანედან! მალინოვსკები“

— იქნებ, უფრო გონებამხვილური...

— მაგალითად, რა?

— შე რა ვიცი.

— მოიფიქრე რაზე!

— ასე უცებ? მოიცა, ასე რომ დავიწყოთ

„გვეონტის მთის ძირიდან გისალმებიან მალინოვსკები...“

— გონებამხვილურად მიგაჩნია?

— უკეთესი შენ მოისაზრე!

— მოიცა, მოიცა! იუზიკმა როგორ მოგვწერა? გახსოვს, როგორ ვიცინოდით: „ცუქრით მლით სავესე თვალებით ზღვაში ვიჭირებოთ, იმის გამო, რომ აქ არა ხართ“. ეგება ახლგვარი რამ..

— მაგრამ ჩვენ ხომ ზღვაზე არა ვართ!

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ამის მსგავსი რამ უნდა მოვიფიქროთ, მაგალითად, აი, ასე: „ვსუნთქავთ რა მთის საამური ჰაერის არომატით, ვნანობთ, რომ ჩვენთან არა ხართ...“

— ძალიან კარგია. მაშ, ბარემ გავრითმოთ კიდე!

მთის საამო არომატით ვსუნთქავთ,

რარივ ვნანობთ, რომ არა ხართ ჩვენთან!..

— „ვსუნთქავთ“ „ჩვენთან“ ცუდი რითმები.

— მე რა, მიცქევიჩი ხომ არა გყავარ. თუ არ მოგწონს, თავად მოიგონე!

— ჰო, კარგი, მოიტა კალამი!

კარასინსკი ქოშინით აიჭრა მეოთხე სართულზე, ბინის კარი შეაღო და ცოლს გასძახა:

— გასაღები მომეცი, ქვემოთ საფოსტო ყუთში რაღაც დევს!

ჩაირბინა დაბლა და, რამდენიმე წუთის შემდეგ, კიდევ უფრო მეტად აქოშინებული, სამზარეულოში შეიჭრა, სადაც პანი კარასინსკა საახალწლო სამზარეულოში იყო ჩაფლული.

— ნეტავი რა ძალა მადგა, რომ შურდულივით გავვარდი?! ეშმაკმა დალახვროს იმათი თავი და ტანი. ამ მეოთხე სართულის გადამკიდე, როდისმე ინფარქტს ავიკიდებ.

— ყუთში რა იყო? — დაინტერესდა კარასინსკა.

— არაფერი, რაღაც მოსალოცი ღია ბარათი ეგდო.

— ვისგან?

— არ ვიცი.

— არ აწერია?

— ახლავე გავსინჯავ! მიანოვსკები...

— ვინ მიანოვსკებია?

— იქნებ, გლინარსკებია, ვერ ვარკვევ.

— აბა, მიჩვენე... მალჩევსკები.

— მალჩევსკები ვინლა არიან?


— თუ მიკულსკები. შენ იცნობ ვინმე მიკულსკებს?

— მოეშვი ერთი, თუ ღმერთი გწამს! ნუთუ, სხვა საზრუნავი არა გაქვს?! სადილი მაჭამე, შიმშილით ვკვდები!

კარასინსკამ ღია ბარათი ნაგვის ვედროში ჩააგდო და მაგიდის გაშლას შეუდგა..


თარგმანა შ. აშირანაშვილი

ნახ. ნ. მელქონაშვილისა



უბექსტოდ

ნახ. ა. კანდელაკისა



მეორეოლიანი ბინა

მოდრე უშუალოდ ბეჭის ამბავს შევხვებოდეთ, უნდა მოგახსენოთ, რომ მე „ბაზარში მოსიარულე ქმრების“ კატეგორიის „ტრამვაით მოსიარულეთა“ ქვეკატეგორიას განეკუთვნები. ამ ქვეკატეგორიის ყოველად უწყინარ და მაინც ყბადადებულ წარმომადგენელთა წინააღმდეგ, ქალაქურ ფოლკლორზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით „ნიანგის“ ფურცლებზეც არაერთხელ დაბეჭდილა მეტად მწარე, ზოგჯერ კი პირდაპირ მომავლინებული ფელეტონები და კარიკატურები, რისი მიზანია და მიზანია, პირადად ჩემთვის, სრულიად გაუგებარია. მაგრამ, მოდით, კამათს თავი ავარიდოთ და ნუ წამოგვრით საკითხს იმის შესახებ, თუ ვინ არის მართალი: ის, ვინც ჩემნაირ ქმრებს დასცინის იმ დროს, როდესაც მისი საბრალო მიუღწეველ ბაზარში ათასი გათავსებული ვაჭრუკანისაგან ათას არმოსამწენ რეპლიკას ისმენს, მერე კი, მიძიმე ტვირთისაგან ლამის წყლში გაწვეტილი, ძლივს ბრუნდება შინ, თუ ის, ვინც თავის ცოლს საამისოდ ვერ იმეტებს და, ამავე დროს, არავის დასცინის?

მაგრამ ეს ისე, სიტყვამ მოიტანა. ახლა კი გადავიდეთ უშუალოდ ბეჭზე:

ერთ მშვენიერ კვირა დღეს, ორი დიდი ჩანთით ხელში, ჩვეულებისამებრ, ბაზრისკენ გავეშურე. წვირილშვილის პატრონი გახლავართ და, აბა, სხვაგან სად წავიდოდი?! ჩემს ჯიბეში მხიარულად ჩხრიალებდა სამი ჟანგიანი კაპიკიანი, ამაყად ტკაცუნობდა ერთადერთი ახალთახალი ოცდაათმანეთიანი და, გაურკვევლობის წინაშე რიდით აღსავსე, უხმოდ თრთოდა ერთი კვირის საკმარი, აუცილებლად საყიდელი სანოვავის სია. იგი ჩემი ცოლის მიერ იყო შედგენილი, იწყებოდა „ხორკით“, საღღაც შუაში ეწერა „ხილი“, სულ ბოლოში კი — „პერსი“ და „მწვანელი“. ერთი სიტყვით, სრულიად ჩვეულებრივი, არასაზეიმო სია გახლდათ. ამიტომ შიგ გაკვირთაც კი არ იყო ნახსენები პროდუქტი „ბეჭი“, რომელიც, მოგესხენებათ, პროდუქტ „გოჭისა“ და პროდუქტ „ინდაურის“ შემდეგ იწერება და მაინც... თუმცა ნუ ვიჩქარებთ, ეს ამბავი თანმიმდევრობით უფრო კარგი მოსასმენია.

მამ, ასე: შევედი ბაზარში. როგორც ყოველთვის, აუჩქარებლად (ერთხელ, გამოუცდელობის ჟამს, აჩქარდი, რის შედეგადაც მოვიგე ხუთი წუთი, წავავე ხუთი მანეთი და... მას შემდეგ აღარასდროს ვჩქარებ).

გამოკდილი სტრატეგის თვალთ გადავხედე ხილითა და ბოსტნეულით ათასფრად გადაჭრულბულ დასლებს, რომლებიც ბონაპარტისთან საომრად გამზადებულ ჰუსართა პოლკებით გამწკრივებულიყვნენ; მერე სულ უბრალო, მაგრამ მრავალჯერ წარბატიებით დაგვირგვინებული მანევრა განვახორციელეთ. მათთან პირდაპირ შეტაკებას თავი ავარიდებ და მთავარი დარტყმა მარცხენა ფლანგზე გადავიტანე; სადაც ბრძოლის ველის ურთულესი უბანი — ხორცის რიგი მეგულებოდა. სტრატეგის აღდოს ჩემთვის არც ამჯერად უღალატია: ამ უბანზე გადამწყვეტი ბრძოლები დამხვდა გაჩაღებული. ცხვრისა და ღორის ბარკლებსათვის შესლა-შემოსლა მხარეთა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა; ხაშის მასა-

ლისა, გულ-ღვიძლისა და სხვა დელიკატესებისათვის შეტაკებათა ბედი უკვე გადაწყვეტილიყო და დამარცხებულ მუშტართა პატარ-პატარა რაზმები, კულამოძუებულნი, სტიქიურად იხვედნენ უკან; საქონლის სორცის გარშემო კი, როგორც მოველოდი, ამჯერადაც ომის უღმობელი ხანძარი გიზგიზებდა. ისმოდა დანებისა და ცულების ჩახაჩხი, ძლივამოსილ ყასაბთა ომახიანი ყიფინა, ჯიბედაკოდლი მუშტოების ხეწწა-მუდარა, კენესა და სასოწარკვეთილი შეძახილები; პაერში სისხლის სუნი ტრიალებდა...

სასწრაფოდ ვცადე იოგების მეთოდის — სუნთქვითი ვარჯიშების გამოყენებით გულის გამაგრება, მაგრამ, ეტყობა, იოგები ბაზრის პირობების თავისებურებას არ ითვალისწინებდნენ და არაფერი გამოძივდა. მაშინ კვლავ ჩვეულებრივი მედიცინის მიღწევებს მივხედე; ჯიბიდან ვაიდილოის აბი დავაძვრე და ენის ქვეშ ამოვიდე.

ის იყო, ენის ქვეშ აბი სულ ჩამიდნა, რომ რიგმაც მომიწია. კიდევ კარგი, თორემ ჯალიდოლი მეტი



აღარ მქონდა, ხორცი კი უკვე თავდებოდა, დარჩენილი იყო მხოლოდ ორიოდე რბილი ნაჭერი, ძვლები მომცრო გროვა, ხარისა თუ კამჩის გატყავებული თავი და, კიდევ — გიტრინაზე შემოდებული ერთი ვეებერთელა ბეჭი. აი, უკვე თვალთ ავარჩიე ნეკნებიანი ნაჭერი, თითქო კი გავიშვირე მისკენ...ო, რა ახლოს იყო სანუკვარი წუთი!

სწორედ ამ დროს, ჩემს წინ, საიდანაც გაჩნდა ვიღაც გაბღენძილი, ოქროსკბილებიანი წითური კაცი. უშველებელი ღიპის მოწოლით მან მეც და ჩემს უკან დაგროვოლი რიგიც ორიოდე ნაბიჯით უკან დაგვიწია, ჯიბიდან ფულის სქელი დასტა ამოიღო, ცერზე დაიფურთხა და ყასაბს ორი თითით მწვანე ხუთთუმნიანი გაუწოდა, თან, ვითომც აქ არაფერი იყო. ისე შეუკვეთა:

— ერთი ეს ბეჭი ამიწონე, ჯივარო! ეტყობოდა, წუსანდელი ნაქეიფარი გახლდათ, ხმა ხრინწიანი და ჩახლენილი ჰქონდა.

აქამდე კოპებშეკრული და ყიამყარად ყასაბი შეაქარამად იქცა, სასოებით ჩამოართვა სუთუნნიანი, თითქოს თხელი ბროლის ღარნიკი იყო; მერე დაფაცურდა, ბეჭს დაჭიდა, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და მთრთლვარე ხმით უბასუხა წითურა მუშტარს:

— ეხლავე, გენაცვა! ემწუთას, ჩემო ძმაო!

— კი მაგრამ, ურიგოდ რატომ იღებთ?! — დავინტერესდი მე.

ჩემს უკან რიგში მდგომი ხალხიც უკმაყოფილოდ აყაყანდა.

წითურ მუშტარს ყურიც არ შეუბერტყია, არც წარბი შეუხრია, ისე გადაულაპარაკა ყასაბს:

— ცოტა მაღე, ძმაცვა!; მერქარება, მანქანა ცუდად მიყენია! — ამ სიტყვებით ჟილეტის ჯიბიდან ოქროსჯაჭვიანი ოქროს საათი დააძრო, დახედაც უნდოდა, მაგრამ დაბაბმა ნება არ მისცა და ისევ შეინახა.

ყასაბი უკვე ციბრუტივით ტრიალებდა, საწონებს აგროვებდა ყოველი მხრიდან. ახლა მას მივმართე:

— კი მაგრამ, რატომ იძლევით ხორცს ურიგოდ?!

შაქარლამადქვეული ყასაბი კვლავ მყრალ ყასბად იქცა და თვალები გადმოშიბრიალა.

— ეს ხორცი არ არის, ბატონო, ეს ბეჭი გახლამს!

ბეჭი უკვე სასწორზე იდო და ძლივს ეტეოდა სიჩუმე ჩამოვარდა. ხმას არც წითური მუშტარი იღებდა, ჩვეყენ ზურგით იდგა და ნერვულად ათამაშებდა თავის ოქროსბეჭვებიან კოტიტა თითებს ვიტრინის მინაზე. ნეკის ფრჩხილი სათუთად მოვლილი და კარგა გრძლად გაზრდილი ჰქონდა.

ბეჭი საოცრად მიძიმე გამოდგა: ყასაბი საწონების მატებას ვერ აუდიოდა.

— კი მაგრამ... — გაუბედავად წამოვიწყე ისევ.

— რა „კი მაგრამ“?! — გამომაჯარა ყასაბმა, — რით ვერ გაიგე, დალოცვილო, ბეჭია-მეთქი?!

— არა, ეს კი გავიგე, მაგრამ... — ხმა ჩამიწყდა მე.

— მერე რა, რომ ბეჭია?! — გამომქომავე ვიღაც რიგში მდგომი.

— იქნებ, სხვასაც უნდა, ჩვენ რა, ხალხი არა ვართ?! — აყაყანდნენ დანარჩენებიც.

— ბეჭი იყიდება მთლიანად! — დამარცვლა ყასაბმა და ამ ცნობამ ცივი შხაპივით იმოქმედა ხალხზე კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა ირგვლივ.

წითური მუშტარი დამცინავად იღიმებოდა, დამცინავად ბრწყინებდა მისი ოქროს კბილების მწკრივი და... ჩემს ძარღვებში მოულოდნელად გაიღვიბა წინაპართა რაინდულმა სისხლმა. უკანდახევა უკვე აღარ შეიძლებოდა, მაგრამ საბოლოო დარტყმა ჯერ აღრე იყო. ნიადაგის შესამზადებლად კვლავ ნაწყენი კაცით მოვყვი ბუხლურს:

— გეკითხათ მაინც, იქნებ მე მინდოდა მაგ ბეჭის ყიდვა! რიგი სომ ჩემია?!

ყასაბმა ბოლო კილოიანიც დააწონა საწონების გროვას, მერე გამაწადღურებლად ამთავალიერ-ჩამათავალიერა და ზანტად მიპასუხა:

— თქვენ თუ გნებავთ, კი ბატონო, აიღეთ, უარს ვინ გეტყვი?! რიგი თქვენი!

მანემ არ მიმტყუნა, მსხვერპლი უკვე ფართსალებდა შიგ.

— მომეცი, ვიღებ! — ვთქვი ნწვიდად და ჩემი ერთადერთი ტიციანა ოცდასუთმანეთიანი ორი თითით გავუწოდე ყასაბს, თან მალულად გადავხედე წითურ მუშტარს.


იგი რატომღაც უცებ გამწვანდა და ერთიორად მოიმატა მოცულობაში, მეტყველების უნარი კი. როგორცა ჩანს, დიდი ხნით დაკარგა.

სახტადარჩენილი ყასაბი პირდაღებული შემოცქმეროდა.

ჩემს უკან რიგში მდგომი კმაყოფილებით იფშენებდნენ ხელებს და, როგორც გმირს შეჭფრის, შეყვარებული თვალებით მიმაცილებდნენ.

ერთი კვირის სამყოფი სანოვავის დაჭმუჭნილმა სიამ ჩემი ჯიბიდან სანავგვემი გადაინაცვლა. დარჩენილი ხურდით ოხრახუშის ერთადერთი კონადა მომივიდა; შინ მისულმა იების თაიგულივით მოწიწებით გავუწოდე იგი ჩემ საყვარელ ცოლს და მის გაოცებულ მხერას წინ ფარავით ვიებერთელა ბეჭი შევაგებე.

ნახ. 3. ფირცხალავასი



— ჯერ ნიონი, ნიორი და მწვანელი ვიყიდოთ და, თუ ფული უაგვრჩა, მერე ხორციც ავიღოთ!..

მადრიდის ბეკლეთი სიტყვის ასოციაციამ განაცხადა, რომ გაზიარდა თავდასხმები პროგრესულ ჟურნალისტებზე. სახელმწიფოში პრესის ორგანოებზე დაწესდა უსასტიკესი კონტროლი. ამ ბოლო ხანს აიკრძალა რვა ჟურნალის გამოცემა.



Индекс 76137

ნ. ზ. ლომიძის